სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/80

ქ. თბილისი

17 აპრილი 2025

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტური მუსიკალური კონკურსის - „სტუ სტარის“ გამარჯვებულისათვის გოგა გიორგობიანის სახელობის ფულადი ჯილდოს დაწესების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის და აკადემიური საბჭოს 2025 წლის 17 აპრილის №01-05-02/12 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტური მუსიკალური კონკურსის - „სტუ სტარის“ გამარჯვებულთათვის დაწესდეს გოგა გიორგობიანის სახელობის ფულადი ჯილდო 5000 ლარის ოდენობით.
2. ფულადი ჯილდო გაცემული იქნას ყოველწლიურად, 25 მარტს - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტური მუსიკალური კონკურსის - „სტუ სტარის“ ფინალურ ღონისძიებაზე, ჟიურის გადაწყვეტილების საფუძველზე გამოვლენილ გამარჯვებულ პირებზე.
3. ფულადი ჯილდო, როგორც წესი გაიცეს უნივერსიტეტის ბიუჯეტში შემოწირულობის სახით მიღებული დაფინანსების ფარგლებში.
4. დადგენილება დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს).

5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**